

მოდით თეატრში!

ილიაუნის თეატრის ცნობადობის ამაღლება სტუდენტებში

თამარ მექვაბიშვილი

ელენე გაბისონია

ანა ზარქუა

*სამაგისტრო ნაშრომში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი; მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია:
პრაქტიკა, კვლევა (საზოგადოებასთან ურთიერთობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატალია თვალჭრელიძე, ილიაუნის თეატრის დირექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორები მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე გაბისონია

თამარ მექვაბიშვილი

ანა ზარქუა

25/06/2017

სარჩევი:

განაცხადი.....	1
სარჩევი.....	2
აბსტრაქტი.....	4
შესავალი.....	6
ლიტერატურის მიმოხილვა.....	14
ილიაუნის თეატრის შესახებ	20
კვლევის მეთოდები	22
რაოდენობრივი კვლევა	23
თვისებრივი კვლევა	27
კვლევის შედეგები	28
რაოდენობრივი კვლევის შედეგები	28
თვისებრივი კვლევის შედეგები	34
რეკომენდაციები	39
რებრენდინგი.....	39
ღონისძიებები.....	41
ილიაუნის თეატრის ადმინისტრაციისა და მსახიობების შეხვედრა სტუდენტებთან	42
სოციალური მედია.....	43
ქველმოქმედება.....	44
შეთანხმება ილიაუნის ადმინისტრაციასთან	45
მე მიყვარს თე-არტ-ი.....	45
თეატრის მიმდებარე ტერიტორიის მოხატვა	48
ილია 180 წლისაა	49
კოსტიუმების გამოფენა.....	50

დასაქმების ფორუმი.....	50
შეთანხმება „ჩემი ცოლის დაქალებთან“.....	51
დასკვნა.....	52
ბიბლიოგრაფია.....	54
დანართი.....	55

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია ილიაუნის თეატრის ცნობადობის ამაღლების ოთხთვიანი კამპანია. თეატრი საზოგადოების კულტურული განვითარების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, რაც ადამიანებს რეალობის სწორად შეფასებაში ეხმარება, თუმცა, ახალგაზრდებში თეატრის მნიშვნელობა, ტექნოლოგიური საშუალებების განვითარების ფონზე, ნაკლებად აღიქმება. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გამოარკვიოს, როგორია თბილისის თეატრების საზოგადოებასთან ურთიერთობის მუშაობის სპეციფიკა, გამოკვეთოს სტუდენტების პასიურობის მიზეზები, ასევე, რა კეთდება თეატრებში ახალგაზრდების დასაინტერესებლად და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება ილიაუნის თეატრის ხელმძღვანელობამ იმისათვის, რომ სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა მოიცვას.

ნაშრომში გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი (კითხვარი) და თვისებრივი (სიღრმისეული ინტერვიუ) მეთოდები. კვლევის შედეგად გამოიკვეთა თეატრების საზოგადოებასთან ურთიერთობის მუშაობის მიმართულებები და გამოწვევები, ილიაუნის თეატრის პრობლემები სტუდენტების ინფორმირებულობის კუთხით.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილისა და რეკომენდაციებისგან. შესავალში თემის აქტუალობა იკვეთება, ძირითადი ნაწილში კი კვლევის მეთოდოლოგია და შედეგებია აღწერილი. ნაშრომის დასასრულს მკვლევართა ჯგუფის მიერ რეკომენდაციები არის შემოთავაზებული.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები ემსახურება სტუდენტებში ილიაუნის თეატრის ცნობადობის ამაღლებას.

საძიებო სიტყვები: თეატრი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, კამპანია, სიღრმისეული ინტერვიუ.

Abstract

The Master's Thesis presents the four-month campaign strategy for the Iliauni Theatre. Theatre is an important tool for cultural development of society that helps people in proper assessment of reality, however, the importance of theatre in youth is less perceived because of advance of technological means. Due to the importance of the problem, the present thesis aims to identify specifics of the public relations of the theatres, the reasons for the passivity of students, as well as what is done in the theatres to attract young people and on what should the theater's management focus to include the maximum number of students in theatre activities.

The thesis employs quantitative (questionnaires) and qualitative (in-depth interviews) methods for the research. The research shows the challenges and issues for the Iliauni theatre in relation to the students' awareness about the theatre

The master's thesis consists of an introduction, the main part and the recommendations. The main part of the research describes methodology and results of the survey. Finally, recommendations based on the findings of the research are offered by the authors

The main findings and the recommendations presented in the masters' work serve to increase awareness of the Iliauni Theatre in students.

Keywords: theatre, public relations, theatre, students, awareness, campaign, questionnaire, in-depth interview.